სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 25

2019 წ. "30" 09

ქ.თბილისი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 09 სექტემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1162878) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №153 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის ორი წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2019 წლის 30 სექტემბერს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების", 28^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

სააპელაციო საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის 09 სექტემბრის №1162878 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი